საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/118 „11" აპრილი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-8 მუხლის:
ა.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 13 მოსამართლით.";
ა.ბ) მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 6 მოსამართლით;";

ბ) მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ბოლნისის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 6 მოსამართლით.";

გ) მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 7 მოსამართლით.";

დ) მე-20 მუხლის:
დ.ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 102 მოსამართლით.";
დ.ბ) მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 36 მოსამართლით;".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი